

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომების აბსტრაქტები

2019-2020 სასწავლო წელი

გენადი ენჯიბაძე - მარკეტინგული მართვა და სამედიცინო საქმიანობის შედეგები

ხელმძღვანელი: თამარ ქობლიანიძე-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი

აბსტრაქტი: სამედიცინო სფეროშიც მარკეტინგი ორგანიზაციის ეფექტიანი მუშაობის მთავარი იარაღია, რომელიც ბაზარზე სწორი გზავნილების შემთხვევაში უზრუნველყოფს კმაყოფილი პაციენტების დიდ არმიას. თუმცა ჯანდაცვას, როგორც მომსახურების სპეციფიკურ სფეროს, თავისი განმასხვავებელი ნიშნები აქვს, რომელთა გათვალისწინების გარეშე წარმატებული მარკეტინგული საქმიანობა არ არსებობს. სამედიცინო სფეროშიც მარკეტინგი ორგანიზაციის ეფექტიანი მუშაობის მთავარი იარაღია, რომელიც ბაზარზე სწორი გზავნილების შემთხვევაში უზრუნველყოფს კმაყოფილი პაციენტების დიდ არმიას. თუმცა ჯანდაცვა და სამედიცინო სფერო ძალზედ სპეციფიკურია, რომლის გათვალისწინების გარეშე წარმატება წარმოუდგენელია.

კვლევის მიზანი: განიხილოს მარკეტინგის თეორიული ასპექტები და მისი მნიშვნელობა ჯანდაცვის სფეროში, შეისწავლოს სამედიცინო მომსახურების ბაზრის სპეციფიკა, ჯანდაცვის სისტემის

ფუნქციონირება და სისტემის ძირითადი მონაწილენი; გაგვაცნოს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურული ანალიზი და სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები. ერთ-ერთი მთავარი მიზანია შეისწავლოს სამედიცინო დაწესებულებათა მარკეტინგული მართვის თავისებურებანი.

კვლევის საგანია სამედიცინო დაწესებულებებში მარკეტინგის ფუნქციონირების თავისებურებანი

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ჯანდაცვის სიტემაში შემავალი სამედიცინო

დაწესებულებები და მათი სერვისებით მოსარგებლე პაციენტები.

ნინო ჯიბლაძე - სამედიცინო დაწესებულების ხარისხის მართვის თანამედროვე

პარადიგმები

ხელმძღვანელი: თამარ ქობლიანიძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი

აბსტრაქტი: ნაშრომში მოწოდებულია ინფორმაცია თუ როგორ ხდება ხარისხის მართვის სისტემის მეშვეობით სამედიცინო დაწესებულებების მიერ კონტროლი და მართავს საქმიანობებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია მომხმარებლის მოთხოვნილებებსა და კმაყოფილებასთან. ხარისხის მართვის სისტემა საშუალებას იძლევა ჰოსპიტალს ჰქონდეს სისტემური მიდგომა თავისი მიზნების მისაღწევად, ხელი შეუწყოს სერვისების ხარისხის ამაღლებას და გაუმჯობესებას.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები მდგომარეობს სამედიცინო მომსახურების ხარისხის არსის გაგებაში და შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული დასკვნების გამოტანაში. ამისათვის კი ამოცანად დავისახეთ, გავვეგო, რა მდგომარეობაა დღესდღეობით საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ჰოსპიტალურ სექტორში მომსახურების ხარისხის მართვის კუთხით გავეცანით: მომსახურების და ხარისხის ცნებათა თეორიულ ასპექტებს, მომსახურება განვიხილოთ, როგორც საქონლის სპეციფიკური სახე, შემდეგ კი გავეცანით ხარისხის არსის ევოლუციის ეტაპებს და მასზე მოქმედ, როგორც შიგა ასევე გარე ფაქტორებს, თუ როგორ ახდენს სახელმწიფო ამ ყველაფრის რეგულირებას (ლიცენზირება, სერტიფიცირება, გაიდლაინები, პროტოკოლები) კანონმდებლობით. მნიშვნელოვანი ამოცანა იყო პაციენტთა და ექიმთა კმაყოფილების კვლევის ჩატარება, რომლის მიზანია მოსახლეობის და ჰოსპიტალურ სექტორში დასაქმებული ექიმების დამოკიდებულების შესწავლა სამედიცინო მომსახურების ხარისხთან მიმართებით, გაანალიზება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება

თემის საკვლევი ობიექტია მომსახურების ხარისხი საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, ხოლო **საგანს** წარმოადგენს ჰოსპიტალური სექტორი.